

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ 1998 წლის 15 ოქტომბრის კანონის თანახმად სამოქალაქო აქტი ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ. მსგავსი წესი არსებობდა აღნიშნული კანონის ამოქმედებამდეც. მიუხედავად აღნიშნულისა, საკმაოდ მრავლადაა სამოქალაქო აქტები, რომლებიც არ არის ხელმოწერილი ან/და ბეჭდით დამოწმებული უბლებამოსილი პირის მიერ, თუმცა რეგისტრაციის წესების სხვაგვარი დარღვევა არ შეინიშნება, აქტების კანონიერებაში ეჭვის შეტანის სხვა საფუძველები არ ვლინდება და მათ საფუძველზე გაცემულია მოწმობები. ასეთი აქტების საფუძველზე გაცემული მოწმობები, როგორც წესი ხელმოწერილია და დამოწმებულია ბეჭდით და მათ მფლობელ პირებს, არ შეეძლოთ წარმოედგინათ რომ აქტი, რომლის საფუძველზეც მოწმობა გაიცა არასრულყოფილია და განმეორებითი მოწმობის აღების დროს პრობლემები შეექმნებოდათ.

პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ აქტების რეგისტრაცია ხელმოწერისა და ბეჭდის დასმის გარეშე, როგორც წესი გამოწვეულია თანამშრომელთა დაუდევრობით და არაპროფესიონალიზმით. შესაძლოა არსებობდეს ცალკეული შემთხვევები, როდესაც აქტზე ხელმოწერა და ბეჭდის დასმა არ განხორციელდა შეგნებულად, დანაშაულის დაფარვის მიზნით, თუმცა მსგავსი შემთხვევები მხოლოდ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს. აღნიშნულზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ რაიონში გვხვდება სამოქალაქო აქტების მთლიანი წიგნები, სადაც არცერთი აქტი არაა ხელმოწერილი.

აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვნად ართულებს, როგორც სააგენტოს ისე მოქალაქეთა მდგომარეობას, ვინაიდან ზოგადი წესის თანახმად ხელმოწერილი და ბეჭდით დაუდასტურებული აქტები არ მიიჩნევა ნამდვილ დოკუმენტებად და მათ საფუძველზე არ გაიცემა მოწმობები. შესაბამისად სასურველია კანონით ნამდვილ აქტებად გამოცხადდეს 2009 წლის 1 სექტემბრამდე რეგისტრირებული ხელმოწერილი და ბეჭდით დაუდასტურებული აქტები. 2009 წლის 1 სექტემბერი წარმოედგენს თარიღს, რომლის შემდეგაც სააგენტოს ცენტრალური აპარატი სისტემატურად გააკონტროლებს აქტის რეგისტრაციის წესების დაცვას და მსგავსი პრობლემები აღარ განმეორდება.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ კანონის 24-ე მუხლში მოცემულია დაბადების რეგისტრაციის შესახებ განცხადებაზე ვალდებულ პირთა ჩამონთვალი. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც დგინდება დაბადების იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი დაინტერესებული პირების, მათ შორის ბებიისა და პაპის განცხადების საფუძველზე და სახეზე არ გვეყავს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადებაზე ვალდებულ პირი, რის გამოც ვერ ხერხდება გადაწყვეტილების საფუძველზე აქტის რეგისტრაცია. შესაბამისად მიზანშეწონილია

კანონში გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე აქტის რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონის მიზანია დაადგინოს გამონაკლისი კანონის ზოგადი წესიდან და ნამდვილად გამოაცხადოს 2009 წლის 1 სექტემბრამდე შედგენილი აქტები, რომლებიც ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული არ არის.

კანონი მიზნად ისახავს გაამარტივოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის 123-ე მუხლს ემატება მე-6 პუნქტი რომლის მიხედვითაც ნამდვილად სამოქალაქო აქტად მიიჩნევა 2009 წლის 1 სექტემბრამდე შედგენილი სამოქალაქო აქტი, რომელიც არ არის ხელმოწერილი ანდა ბეჭდით დადასტურებული უფლებამოსილი პირის მიერ, თუ დაღვეული არა არის მისი რეგისტრაციის სხვა წესები.

დაბადების რეგისტრაცია ბავშვის დაბადების ადგილისა და მშობლების რეგისტრაციის ადგილის გარდა შესაძლებელი იქნება აგრეთვე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოს მიერ.

ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 116^ბ მუხლი, რომლის თანახმადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე აქტის რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებისთვის, რომელთა მიმართ ვრცელდება ამ კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სამოქალაქო რეესტრის სააგენტო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არაინ საქართველოს პარლამენტის წევრები – ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.